„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

# ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * დეკემბერი. 2020 * (10)67

## გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, ძვირფასო ასპინძელებო!

კორონა-ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით, როგორც მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტშიც ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, წელს, განსაკუთრებული პირობებიდან გამომდინარე, დაბაში ტრადიციული საახალწლო ღონისძიება ვერ გაიმართება. თუმცა ვეცდებით მოსახლეობას შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით შევუქმნათ საახალწლო განწყობა.

მიმდინარე წელს გავეცით სხვადასხვა სახის დახმარებები, შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს. ასევე ვგეგმავთ გარკვეულ კატეგორიას საახალწლო განწობა შევუქმნათ და ადგილზე მისვლით მივულოცოთ ახალი წელი.

ყოველი თქვენთაგანი განსაკუთრებული მოლოდინით ელოდება დამდეგ 2021 წელს. ახალ ცვლილებებს უკეთესი მომავლისაკენ. გისურვებთ, 2021 წელი იყოს ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, სიკეთის, სიყვარულის და ბედნიერების წელი.

მჯერა, ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით, შევძლებთ, ჩვენს მუნიციპალიტეტში უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნას!

ასევე ვიმედოვნებთ, – 2021 წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება.

გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას და სიმშვიდეს!

**როსტომ მაგრაძველიძე,**
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

## საქართველოს X მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი

**ანტონ ობოლაშვილი**

*დაიბადა 1974 წლის 1 ივლისს.*

*1991 წელს დაამთავრა ახალციხის N1 საშუალო სკოლა. 1992-1998 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში, ეკონომიკის ფაკულტეტზე.*

*2004 წელს დააფუძნა შპს „გლობალფარმა“ და არის აღნიშნული კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი. 2016 წლიდან შპს „გლობალფარმას“ გენერალური დირექტორია.*

*2020 წელს „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარობის კანდიდატად და ხმათა 61,85% (33 149 ხმა) არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის მეათე მოწვევის დეპუტატად.*

*ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.*

# საპარლამენტო არჩევნების შედეგები ასპინძაში

ინტერვიუ

ერთ თვეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც გაიმართა საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის არჩევნები. უნდა ითქვას, რომ განსხვავებით სხვა რეგიონებისა, ასპინძის მუნიციპალიტეტში, როგორც იტყვიან, სრულიად მშვიდ გარემოში ჩატარდა იგი და ამომრჩევლებს საშუალება მიეცათ კონსტიტუციით მინიჭებული უფლება – თავიანთი სასურველი კანდიდატისთვის მიეცათ ხმა, დემოკრატიულად გამოეხატათ.

მიუხედავად ამისა ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ როგორ გადანაწილდა ხმები მუნიციპალიტეტის მასშტაბით როგორც მაჟორიტარ კანდიდატებს შორის, ასევე პროპორციულად. აღნიშნულთან დაკავშირებით ვთხოვეთ N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ლოლაძეს რამდენიმე კითხვისთვის გაეცა პასუხი:

***– რამდენია მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა?***

– ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მუნიციპალიტეტში შეადგენს 9 831 ამომრჩეველს.

***– რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში?***

არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 7 014 ამომრჩეველი.

***– სად დაფიქსირდა ამომრჩეველთა ყველაზე მეტი აქტივობა?***

– ყველაზე მეტი აქტივობა დაფიქსირდა N17.39.11 მირაშხანის საარჩევნო უბანზე - 80.5% და N17,39,13 ორგორის საარჩევნო უბანზე - 80,2%.

***– ყველაზე დაბალი აქტივობა სად დაფიქსირდა და მიზეზი რაში მდგომარეობდა?***

– ყველაზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა N17.39.04 დამალის საარჩევნო უბანზე - 55,5%, რაც ძირითადად განაპირობა სოფლის მოსახლეობის საზღვარგარეთ, სამუშაოზე გასვლამ.

***– როგორ გადანაწილდა მაჟორიტარ კანდიდატებს შორის ხმების რაოდენობა?***

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული კანდიდატების შედეგები ასე გამოიყურება:

| არჩევნებში მონაწილე კანდიდატის რიგითი N | კანდიდატის სახელი, გვარი | მიღებული ხმათა რ-ბა |
|---|---|---|
| 2 | ზურაბ ჩილინგარაშვილი | 289 |
| 4 | გელა კვარაცხელია | 27 |
| 5 | ვაჟა ჩიტაშვილი | 1563 |
| 8 | დავით გოგიჩაიშვილი | 220 |
| 10 | გიორგი ჩიტაური | 112 |
| 14 | მარიზა ჯიქია | 17 |
| 19 | ბესარიონ ფოფხაძე | 26 |
| 20 | რამაზ გელაშვილი | 20 |
| 21 | გოდერძი კუბლაშვილი | 20 |
| 30 | მარიამი ჭრელაშვილი | 15 |
| 31 | ზურაბ ხუციშვილი | 30 |
| 41 | ანტონ ობოლაშვილი | 4355 |
| 55 | ოლეგ სანდროშვილი | 31 |
| 56 | იზოლდა ლომიძე | 98 |

***– პროპორციული სიით პარტიებს შორის ხმები როგორ გადანაწილდა?***

პროპორციული სიით მონაწილე პარტიებს შორის ხმები ასე გადანაწილდა:

| საარჩევნო სუბიექტის რიგითი N | პარტიის/ბლოკის დასახელება | მიღებული ხმათა რ-ბა |
|---|---|---|
| 2 | ,,ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის„ | 329 |
| 5 | საარჩევნო ბლოკი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია„ | 1409 |
| 8 | ,,დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი„ | 226 |
| 41 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 4254 |

– გმადლობთ, ბატონო ნიკოლოზ საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისათვის.

*ინტერვიუერი* **ავთანდილ მესხი**

# კორონა-ვირუსის პანდემიის გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაწესებული შეზღუდვები

## გადაადგილება

**1. იზღუდება თუ არა საქალაქთაშორისო მიმოსვლა?**

*დიახ, 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე, ასევე 3 იანვრიდან 31 იანვრამდე, იზღუდება მგზავრთა რეგულარული გადაყვანა სამარშრუტო ტაქსებით, ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით), ასევე რკინიგზით.*

*საქალაქთაშორისო ტრანსპორტი იმუშავებს 24 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით.*

**2. შესაძლებელია თუ არა კერძო კომპანიამ თანამშრომელთა საქალაქთაშორისო ტრანსპორტირება პერიოდულად განახორციელოს?**

*დიახ, შესაძლებელია.*

**3. შესაძლებელია თუ არა მსუბუქი ავტომობილით გადაადგილება?**

*დიახ, მსუბუქი ავტომობილით, მათ შორის ტაქსებით გადაადგილება დაშვებულია 05:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე, სპეციალური ნებართვების გარეშე.*

**4. შესაძლებელია თუ არა მსუბუქი ავტომობილით საქალაქთაშორისო გადაადგილება?**

*დიახ, მსუბუქი ავტომობილით ან ტაქსით საქალაქთაშორისო გადაადგილება დასაშვებია სპეციალური ნებართვის გარეშე.*

**5. ჩერდება თუ არა მუნიციპალური ტრანსპორტი?**

*ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ქ. თელავის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა სრულად შეჩერებულია 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე, ასევე 3 იანვრიდან 16 იანვრამდე.*

**6. იკრძალება თუ არა ტაქსით გადაადგილება დღის საათებში?**

*ტაქსით გადაადგილება 05:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე დაშვებულია.*

**7. ძალაშია თუ არა აკრძალვა ღამის საათებში გადაადგილების შესახებ?**

*დიახ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 21:00 საათიდან 05:00 საათამდე იკრძალება გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა.*

*გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე - 31 დეკემბრის 21:00-დან, 1 იანვრის 05:00 საათამდე და შობის ღამეს - 6 იანვრის 21:00 საათიდან, 7 იანვრის 05:00 საათამდე, რა დროსაც გადაადგილება არ იქნება შეზღუდული.*

**8. იზღუდება თუ არა სათხილამურო კურორტებზე (ბაკურიანი, გუდაური, გოდერძი და მესტია) მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება?**

*დიახ, იზღუდება.*

**9. დიდ ქალაქებში დაწესებული შეზღუდვები ვრცელდება თუ არა სოფლებზე და მომიჯნავე დაბა/დასახლებებზე?**

*მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს გადაადგილების შეზღუდვა 21:00 სთ-დან 05:00 სთ-მდე, ასევე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა, კვების ობიექტების, ფიტნესკლუბების და აუზების საქმიანობის შეზღუდვა. დიდ ქალაქებში დაწესებული სხვა შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ აღნიშნული ქალაქების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში.*

*დიდ ქალაქებში დაწესებული სხვა შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ აღნიშნული ქალაქების საზღვრებში.*

**10. შესაძლებელია თუ არა 28 ნოემბრამდე მიღებული საშვის საფუძველზე გადაადგილება?**

*დიახ, 9 ნოემბრიდან გაცემული ნებართვები კვლავ ძალაშია.*

**11. აკრძალულია თუ არა 70 წელს გადაცილებულ პირთა გადაადგილება?**

*აკრძალული არ არის. რეკომენდებულია 70 წელს გადაცილებულმა პირებმა თავი შეიკავონ გადაადგილებისგან.*

## ეკონომიკური საქმიანობა

**12. რა რეგულაციებია რესტორნებსა და კვების ობიექტებთან დაკავშირებით?**

*რესტორნები და კვების ობიექტები ქვეყნის მასშტაბით მთლიანად გადადიან მიტანის/გატანის სერვისზე. დასაშვებია:*

*პროდუქტის გატანა - ე.წ. „ტაკეაწაყ“*

*მიტანის სერვისი - ე.წ. „დელივერი“*

*ავტომობილით გატანა - ე.წ. „დრაივი“*

**13. რომელ სავაჭრო ობიექტებს ეხება შეზღუდვა?**

*ყველა სავაჭრო ობიექტი ფუნქციონირებს მხოლოდ დისტანციურად - ადგილზე მიტანის/ადგილიდან გატანის სერვისით, მომხმარებლის სარეალიზაციო სივრცეში დაშვების/წვდომის გარეშე.*

*ეს შეზღუდვა არ ეხება:*

*სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაციას;*

*ელექტროკომუნიკაციის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდებას;*

*სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციას;*

*პრესის ჯიხურებს.*

**14. იზღუდება თუ არა სავაჭრო ობიექტების მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით?**

*არა. იზღუდება მხოლოდ ქ. თბილისის, ქ. თელავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის და სათხილამურო კურორტების (ბაკურიანი, გუდაური, გოდერძი და მესტია) საზღვრებში.*

**15. იხურება თუ არა ბაზრები და ბაზრობები?**

*ქ. თბილისის, ქ. თელავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის და სათხილამურო კურორტების (ბაკურიანი, გუდაური, გოდერძი და მესტია) საზღვრებში ყველა ტიპის ღია და დახურული ბაზრები/ბაზრობები გადადიან დისტანციურ რეჟიმზე.*

*აგრარული ბაზრები/ბაზრობები აგრძელებენ ფუნქციონირებას ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების დაცვით.*

**16. ეხება თუ არა აკრძალვა ფიტნესდარბაზებსა და საცურაო აუზებს?**

*ფიტნესდარბაზებისა და საცურაო აუზების ფუნქციონირება ჩერდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.*

**17. აგრძელებენ თუ არა ფუნქციონირებას სილამაზის სალონები და ესთეტიკის ცენტრები?**

*სილამაზის სალონები და ესთეტიკის ცენტრები აგრძელებენ ფუნქციონირებას ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების დაცვით.*

**18. დასაშვებია თუ არა საკურიერო მომსახურება, ე.წ „დელივერი სერვისი„?**

*ე.წ. „დელივერი სერვისი“ დასაშვებია მთელი ქვეყნის მასშტაბით.*

**19. არის თუ არა შესაძლებელი საკურიერო მომსახურების განხორციელება 21:00 სთ-დან 05:00 სთ-მდე პერიოდში?**

*საკურიერო მომსახურების განსახორციელებლად გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში.*

**20. აგრძელებენ თუ არა მუშაობას ბანკები/სავალუტო ჯიხურები/მიკროსაფინანსო ორგანიზაციები?**

*ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სავალუტო ჯიხურების ფუნქციონირება არ იზღუდება.*

**21. შესაძლებელია თუ არა კვების ობიექტებზე ადგილზე მისვლა და საკვების გატანა?**

*დაშვებულია კვების ობიექტებიდან პროდუქტის გატანა ე.წ. „ტაკეაწაყ.“ კერძოდ, მომხმარებლის კვების ობიექტის შენობაში შესვლა და პროდუქტის გატანა.*

სასწავლო პროცესი

**22. რა სახის რეგულაცია ვრცელდება სკოლებზე, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებზე?**

*ქ. თბილისის, ქ. თელავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის საზღვრებში სკოლები, პროფსასწავლებლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (სამედიცინო პროგრამების გარდა) სრულად გადადიან დისტანციურ რეჟიმზე.*

**23. შესაძლებელია თუ არა ტრენინგების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება მონაწილეთა ფიზიკური დასწრებით?**

*მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა სახის კონფერენციის, ტრეინინგის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ ონლაინ ფორმატით.*

**24. დასაშვებია თუ არა კულტურულ/სპორტული ღონისძიებები?**

*კულტურული ღონისძიებების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ ონლაინ ფორმატით, ანუ მაყურებლის დასწრების გარეშე.*

*დასაშვებია შესაბამისი საერთაშორისო ან/და ეროვნული სპორტული ფედერაციის ეგიდით სპორტული ღონისძიების გამართვა მაყურებლის დასწრების გარეშე.*

*გასართობი ღონისძიებების ჩატარება იზღუდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.*

**25. ვრცელდება თუ არა აკრძალვები სახელოვნებო და სპორტულ წრეებზე?**

*დიახ, სახელოვნებო, სპორტული წრეები და სტუდიები აჩერებენ მუშაობას ქვეყნის მასშტაბით.*

**26. აგრძელებენ თუ არა მუშაობას საბავშვო ბაღები?**

*კერძო და საჯარო საბავშვო ბაღები აჩერებენ მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.*

სამთო სათხილამურო კურორტები

**27. იზღუდება თუ არა გადაადგილება სამთო კურორტებზე?**

*ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძისა და მესტიაში იკრძალება 21:00 სთ -დან 05:00 სთ-მდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა.*

**28. დამატებით რა შეზღუდვები წესდება ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძისა და მესტიაში?**

*აღნიშნულ კურორტებზე სასტუმროები ფუნქციონირებენ მხოლოდ საკარანტინე სივრცეების მოწყობისთვის.*

*იზღუდება სათხილამურო ტრასების და საბაგიროების ფუნქციონირება. არ ფუნქციონირებენ კვების ობიექტები.*

## სხვა კითხვები

**29. რა სანქციაა გათვალისწინებული დაწესებული აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში?**

*დარღვევის შემთხვევაში ფიზიკური პირი/ინდ. მეწარმე დაჯარიმდება 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირი - 10 000 ლარით.*

**30. როდის შედის ძალაში დაწესებული შეზღუდვები?**

*შეზღუდვები ამოქმედდება 2020 წლის 28 ნოემბრიდან.*

**31. 28 ნოემბრიდან აგრძელებენ თუ არა სტომატოლოგიური კლინიკები ფუნქციონირებას?**

*დიახ, მათი საქმიანობა დასაშვებია.*

**32. შერეული მაღაზიები (რომლებიც ყიდიან როგორც ჰიგიენურ საშუალებებს, ისე სხვა პროდუქტს), როგორიცაა, მაგალითად: „სუფთა სახლი“, განაგრძობენ თუ არა მუშაობას?**

*„სუფთა სახლი“ და მსგავსი პროფილის მაღაზიები, რომლებიც ძირითადად ახდენენ ჰიგიენური პროდუქციის რეალიზაციას, მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ.*

**33. ყვავილების რეალიზაცია არის თუ არა შესაძლებელი?**

*თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, ფოთში, გორსა და თელავში, ასევე, სამთო-სათხილამურო კურორტებზე, ყვავილების გაყიდვა დაშვებულია მხოლოდ დისტანციურად.*

*საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ყვავილებით ვაჭრობა დაშვებულია შეზღუდვების გარეშე.*

**34. სპა/მასაჟის ცენტრები და გოგირდის აბანოები აგრძელებენ თუ არა მუშაობას?**

*ქვეყნის მასშტაბით აკრძალულია სპა პროცედურების, საუნებისა და აბანოების ფუნქციონირება, ასევე საცურაო აუზების საქმიანობა.*

**35. ე.წ. „მარშუტკებს“ და ავტობუსებს, რომლებიც საქართველოს საზღვარს კვეთენ, შეუძლიათ თუ არა გადაადგილება?**

*ქვეყნის მასშტაბით აკრძალულია როგორც საერთაშორისო, ისე საქალაქთაშორისო ტრანსპორტით (ე.წ. „მარშრუტკებით“ და ავტობუსებით) მგზავრთა რეგულარული გადაყვანა.*

*ტაქსითა და კერძო ტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდული არ არის, გარდა 21:00 საათიდან-05:00 საათამდე.*

**36. დასაშვებია თუ არა ტრანსპორტის გადაადგილება სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზაციის მიზნით, მათ შორის, ე.წ. „მარშრუტკით„?**

*დიახ, 2020 წლის 28 ნოემბრიდან დილის 05:00-დან 21:00 სთ-მდე გადაადგილება დასაშვებია, ხოლო 21:00 საათის შემდეგ გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე.*

**37. დასაშვებია თუ არა საეკლესიო ნივთებისა და ხატების რეალიზაცია?**

*დიახ, რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ დისტანციურად, ონლაინ.*

**38. დასაშვებია თუ არა სიგარეტის ჯიხურების საქმიანობა?**

*სიგარეტის ჯიხურების საქმიანობა არ არის დასაშვები.*

**39. სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებსა და მრევლს ექნება თუ არა გადაადგილების უფლება შობის ღამეს?**

*სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ყველა რელიგიის და კონფესიის წარმომადგენელმა თავისუფლად შეძლოს რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნაში მონაწილეობა.*

*შესაბამისი კონფეციები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარუდგენენ მრევლის და მღვდელთმსახურთა სიებს, რომელთა საფუძველზეც ოპერაციული შტაბის მიერ გაიცემა გადაადგილების ერთჯერადი ნებართვა.*

**40. დასაშვებია თუ არა საადვოკატო ოფისების საქმიანობა?**

*დიახ, დასაშვებია, თუმცა საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციაა - ბიზნესაქმიანობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნეს დისტანციურ რეჟიმში.*

**41. დაწესებული შეზღუდვების გარდა სხვა დაწესებულებების/კომპანიების საქმიანობა არის თუ არა შეზღუდული?**

*28 ნოემბრიდან თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, ფოთში, გორსა და თელავში, ასევე, სამთო-სათხილამურო კურორტებზე, იკრძალება სათხილამურო ტრასებისა და სათხილამურო საბაგიროების ფუნქციონირება, გასართობი დაწესებულებების საქმიანობა და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ფუნქციონირება, სპორტული/სავარჯიშო დარბაზების, სპა ცენტრების, საუნების/აბანოების, ასევე საცურაო აუზების საქმიანობები.*

*ყველა სხვა ეკონომიკური საქმიანობა (მათ შორის, საოფისე საქმიანობა) მთელი ქვეყნის მასშტაბით ნებადართულია.*

გაგრძელება გვ 4

# მესხების ოშორა



გაზეთ „ივერიის“ 1898 წლის ნომერში ილია ალხაზიშვილი აქვეყნებს ფელეტონს, სადაც აღწერს მესხეთის სოფლებში მის მიერ ასპინძის ბრძოლაზე გადმოცემებისა და ფოლკლორული მასალების შეგროვების პროცესს. ამ ფელეტონში მას საინტერესო ჩანაწერები აქვს ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის მესხი მოსახლეობის შესახებ. თუმცა, სანამ XIX საუკუნის მიწურულის მესხური ოშორის ამბებს გაგაცნობთ, გთავაზობთ მოკლე ცნობებს თავად სოფლის შესახებ.

სოფელ ოშორაზე ვახუშტი შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „კვლად მტკვარს მოერთვის, წითელ-კლდეს ზეით, ღობიეთის პირისპირ, ოშორის-ჴევი... ამ ჴევზედ, ზემო ოშორას ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი...“

ოშორის თემი აერთიანებდა ქვემო ოშორას, ზემო ოშორას და ყამზას.

ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით „ზევით ოშორისწყლის ვიწრო ხეობაში მდებარეობს ზემო ოშორა, ქვემო ოშორა მდებარეობს ოშორისწყლის ნაპირას, რომელიც მტკვრის მარჯვენა შენაკადია“.

დღესდღეობით სოფელში ისტორიული ძეგლებიდან შემორჩენილია XIV საუკუნის ეკლესია და 1900-1901 წლებით დათარიღებული მეჩეთი.

ეკლესიის სამხრეთი კედლის წარწერა გვამცნობს: „დედაო ღმრთისაო, შენდა სამსახურად ვიყიდენ ორნი ვენახნი და სამნი ყანანი მე დედოფალ ყოფილმან ეფროსინე და მივეც შამანგულის ძესა ბასილს და მისსა შვილსა ილარიონსა, და დვირელთაგან ნასყიდი სახლი ავაგე ზედა. და ამისსავე სამსახურისათვის გავეც ოქროჲ აწყურს და ყოველგან რომე ცკლი მოიკრიფებოდეს და არა დაილეოდეს არა დღე და არა ღამე ამათითა ხელითა და კრულია და ვსწყევლი დიდისა ღმრთისა მადლითა...“

საინტერესოა, რომ ექ. თაყაიშვილისეულ ვერსიაში არსებობს ამ წარწერაში მოხსენიებული საკუთარი სახელების განსხვავებული ვერსიები: „... მე იუდიფ ყოფილმან ეფროსინე...“, ასევე „... და მისა შვილსა ფირანს...“

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმელის ზემოთ წარწერაში მოხსენიებულია სავარაუდოდ ქტიტორი ისაკი – „ქრისტე შეიწყალე ისაკაჲ ამენ“.

როგორც 1944 წელს ოშორიდან გადასახლებულების შთამომავლები იხსენებენ ოშორა მესხეთში ერთ-ერთი მდიდარი სოფელი ყოფილა, რომელიც მოსახლეობის საერთო განათლების დონითაც გამოირჩეოდა. გასახლებამდე მარტო ქვემო ოშორაში 390 კომლი ცხოვრობდა.

ახლა კი რაც შეეხება ილია ალხაზიშვილის ოშორაში სტუმრობას:

„ყველამ მირჩია ოშორაში წასვლა, იქაურ ქართველებში მოიკითხეთო.

ასპინძიდგან ორიოდე ვერსის სავალზედ, სოფ. იდუმალას რო მივუახლოვდით, მარჯვნივ შევუხვიეთ ერთს მიმალულს, მივარდნილს ხეობას, რომლის სათავე ბორჯომის მთიდგან იწყება: ამ ხეობაშია ორი სოფელი, ქვემო და ზემო ოშორა, სადაც ქართული ენა თითქმის ხელ-უხლებლად შენახულა დღევანდლამდე.

პატრონი და ბატონი ამ სოფლებისა ჰამიდ-ბეგ ავალიშვილი კარგი დარბაისელი ქართველია, დედა-ენის კარგად მცოდნე და მშვენიერი ტანადთვალადი, ნამდვილის ქართულის სახის კაცი, განსვენებულ, ჩვენის დაუვიწყარ საზოგადო მოღვაწის ანნა ბესარიონის ასულის მუსხელიშვილის მეუღლისაგან ნაჩუქარი აქვს „ვეფხისტყაოსანი“ და ძალიან უყვარს ამ წიგნის კითხვა... მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ჰამიდ-ბეგმა გამაცნო თავისის სოფლის ორი ღრმად მოხუცებული ქართველი ისმაილ გონიაშვილი და მათო ჭეჭოშვილი, ორივენი თითქმის ას-ასი წლისა იქნებიან, მაგრამ იქამდე ჯან საღნი არიან, რომ მუშაობაში ახალგაზრდებს უჯიბრდებიან. საკვირველი და საოცარი ის არის, რომ ამ ბერიკაცებმა არც ერთი სიტყვა თათრული არ იციან! ვისაცა გქონან ყურნი სმენად, ისმენენ! ორასი წელიწადი ბარბაროსობდა აქ ოსმალები, რა ტანჯვა-წამება არ მიაყენა ამ ხალხს და მაინც დღესაც აქამომდე მოიპოვებიან ისეთნი ქართველნი (მაჰმადიანნი), რომელთაც

*1901წ. დგანან: მარჯვნივ სოფლის თავი იდუმლელი ისკენდერ აღა და გვერდით მისი დამხმარე ოშორელი მუშთაკ ეფენდი მატანოვი | სხედან: მარჯვნივ მწერალი ტოვფიკ ეფენდი და მის გვერდით სტეფანე ეფენდი (პოლიციის კომისარი)*

არც ერთი სიტყვა თათრული არ იციან!

მუსტაფა-ბეგმა მიამბო: მეჩეთში (ჯამეში) რომ შევლენ ხოლმეო, შეჰხედავენ მოლას, დაჰხედამენ მლოცველ ხალხს და რო არაფერი ესმით მათ, გარშემო რაც ხდება, განცვიფრებული აღაპყრობენ ხელებს ზეციისკენ: „ღმერთო შენ იცი“! ეს არის იმათი ლოცვა და ვედრებაცაო.

აქვე ოშორაში გავიცანი ერთი მოხუცი ნურსარადაშვილი, რომელმაც ბევრი ლექსი მითხრა ჯავახეთისა და კახეთის შესახებ, მაგრამ არც ერთი არ შეეხებოდა ასპინძის ომს, ამ ლექსის გარდა:

„ერეკლე შენ ოქმიანო,
/ ცხენ ლამაზ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
/ასპინძის ბოლოს ყრიანო,
ყვავი-ყურანი ლეშსა სჭამს,
/კაჭკაჭნი თვალებს თხრიანო“.

ხოლო ირაკლი-ხანი ყველას გაგონილი გვაქვსო და ამ შვიდიოდე წლის წინად, სოფ. ყამზაში 110 წლის კაცი გარდაიცვალა ჩაჩო იასეშვილი, რომელმაც ირაკლი-ხანის ამბავი ბევრი იცოდაო.“

1900 წელს მესხეთში მომრიგებელ შუამავლად დანიშნული ალექსანდრე ფრონელი ფეხით მოივლის სამცხისა და ჯავახეთის სოფლებს და იმ პერიოდის საინტერესო დაკვირვებებსა და ჩანაწერებს გვიტოვებს. ერთი ასეთი დაკვირვების საგანი მესხეთში სიმღერის ბედი თუ ტრანსფორმაციაა:

«ბევრჯერ დავსწრებივარ სოფლად გლეხის მუშაობას, ხვნას, თესვას, მკას, თიბვას, ლეწვას, სიმინდის თოხნას და ერთხელ არ გამიგონია წკრიალა, იმედიანი სიმღერა, ვაჟკაცური გუგუნი, ან ტკბილი, ნაზი და სევდიანი კილო ქართლელისა. საერო, საჯარო სიმღერა სამუდამოდ გამქრალა. ამის მაგიერ დღეობა-ქორწილებში მოისმენ სპარსულ კილოზე ერთხმიან სიმღერას, ბალა-ბალას მსგავსს. მომღერალნი უფრო ქურთები არიან. მხოლოდ ერთხელ მოვისმინე სოფ. ოშორაში ქართველი მაჰმადიანის სევდიანი სიმღერა ქართულადვე. მომღერალს საზი ეჭირა და ამ უბრალო სამუსიკო იარაღზე დამღეროდა. სამწუხაროდ, უბის წიგნი, სადაც ლექსი მქონდა ჩაწერილი, დაიკარგა და საშუალება აღარ მაქვს, იგი აქ მოვიყვანო.“

ამ პერიოდში ოშორის თემი მოიცავდა სოფლებს ზედა და ქვემო ოშორას, იდუმალას, ლაშიხევს, ყამზასა და ინდუსას.

ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ ზედა ოშორაში მდებარე ჰამიდ-ბეგის მდიდრული ორსართულიანი სახლი სკოლად გადაუკეთებიათ, რომელშიც სწავლება მუსლიმი მესხების გადასახლებამდე მიმდინარეობდა. ორივე ოშორაში მხოლოდ მუსლიმი მესხები სახლობდნენ. ამიტომ მათი გადასახლების შემდეგ ზედა ოშორა დაიცალა და რამდენიმე მესხი, სხვადასხვა სოფლიდან მოსულ ოჯახს თუ არ ჩავთვლით, ქვემო ოშორა ძირითადად იმერეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობის ხარჯზე შეივსო. ზედა ოშორის საცხოვრებელი სახლის ქვები და ჰამიდ-ბეგის ნამოსახლარი სკოლის კედლებიც საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობის ფერმების ასაშენებლად გამოიყენეს. დღეს იქ ასული მნახველი ძველ ნამოსახლარებსაც ვეღარ ნახავს...

ოშორა იმხანად ერთ-ერთ გამორჩეულ და მდიდარ სოფლად ითვლებოდა. სოფელ ოშორაზე შემორჩენილი არაერთი ფოლკლორული მასალა, რომელიც ყოველთვის იპყრობდა ქართველ ფოლკლორისტთა დიდ ყურადღებას. მათ შორის, საილუსტრაციოდ, მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

***

თუშო, ნუ ჩახვალ ოშორას,
ოშორა ეკლიანია,
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
შენი ამოსვლა ძნელია.

***

გეგუთისა მინდორზედა
ლურჯი ცხენი მოგოგავდა,
ზედ რომ იჯდა ვაჟიკაცი,
ხერმანდულად მოკაზმული.
ბიჭო, ნუ ჩახვალ ოშორას,
ოშორა ჰეკლიანია,
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
ოშორა ჰეკლიანია.
– ჩავალ და ისევ ამოვალ,
ოშორა იყვეს ჰეკლიანია.

***

(ვარიანტიიხ.

ოშორავ, ლამაზო,
არ გდევს წუნი,
კარზე ბაღჩა-ბაღი,
კლდეშიაც გამოდის
თბილი აბანო.
სულ იქ მოგროვდება
ქალი თუ რძალი,
წინ მიუძღვის აჩაიანი ცოლი,
უკნიდანაც მისდევს
ნაძრახი ქმარი.
ჩავალ, ავიღებ
ჩემ ბრუდე ხმალსა,
გადუდგები გზაში,
მოუკლამ ქმარსა;
სულ მე დამრჩება
ქალი და რძალი.

## ოშორავ, ლამაზო

ოშორავ, ლამაზო,
არ გდევს წუნია,
კლდეშიაც გამოდის
აბანოს წყალი,
წავა, დაირჩევა
ქალი თუ რძალი,
სულ თავი და თავი
პაწაკიშვილის* ქალი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი, იმდროინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სოფელ ოშორაში მოხდა აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის გეგმიური ჩამოსახლება. 2014 წლის აღწერის მიხედვით სოფელ ოშორაში ცხოვრობს 531 სული და მოსახლეობის მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის მესამე ადგილზეა. მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევს.

მასალა მოამზადა
ქეთევან დავლაშერიძემ

*პაწაკიშვილების გვარი თურმე ძველ საქართველოში ცხოვრობდა. თათრები მათ შთამომავლებს პაწაკაანთ უძახდნენ.





# ფარსულის ფურცლები

ასპინძის საშუალო სკოლის პედაგოგები. 1960 წელი.

# ახალი წიგნები

ახლახან ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკამ მიიღო შემდეგი დასახელების წიგნები:

დიმა თოფურიძე – ანიდან ჰოემდე;
ჯოანა გრუდა – ბავშვი, რომელიც ძაღლების ენაზე ლაპარაკობდა;
მარია მეტლიცკაია – დედამთილის დღიური;
ემილი ბრონტე – ქარიშხლიანი უღელტეხილი (ძალიან მაგარი წიგნები), ტ. II;
ჯეინ ოსტინი – სიამაყე და მცდარი აზრი (ძალიან მაგარი წიგნები);
ხულიო კორტასარი – კლასობანა (ძალიან მაგარი წიგნები);
გრეგუარ დე ლა კური – ჩემი სურვილების ნუსხა (ძალიან მაგარი წიგნები);
სებასტიან ჟა პრიზო – მკვლელი ზაფხული (ჩემი მაგარი წიგნები);
სებასტიან ჟა პრიზო – სათვალიანი ქალი თოფით მანქანაში (ჩემი მაგარი წიგნები);
ფრედერიკ ბეგ ბედერი – ექსტაზი (ძალიან მაგარი წიგნები);
ჯემალ ქარჩხაძე – მდგმური;
ნოდარ დუმბაძე – მე, ბებია, ილიკო და ილარიონი;
ემენუელ შმიტი – ნოეს შვილი;
ლაგერ კრანცი – გოგონა ობობას ქსელში;
დოსტოევსკი – ძმები კარამაზოვები;
კრისტა ვოლფი – კასანდრა;
მარიამ წიკლაური – ქართული ანბანი. საბავშვო ლექსები;
გასტონ ლერუ – ოპერის მოჩვენება;
ალექსანდრე დიუმა – ქალი ხავერდის ყელსაბამით;
ანა სიუელი – მშვენიერი შავრა;
ბელა ჩეკურიშვილი – სიშიშვლის დეტექტორი;
გიორგი ზანგური – გამამეორე;
თამთა მელაშვილი – გერმანელები საქართველოში;
ირმა ლიპარტელიანი, თამარ ნინიკაშვილი – საქართველოს ბუნების და მატერიალური კულტურის 100 ძეგლი;
ჰეზერ ამერი – პირველი ათასი სიტყვა ინგლისურად;
გიორგი კეკელიძე – სიკვდილი პიცერიაში;
თინათინ ბერიძე – გახდი ბესტსელერის ავტორი – მოპარული სიყვარული;
ნიკოლოზ ტოტოღაშვილი – გახდი ბესტსელერის ავტორი – შვიდი მომაკვდინებელი გრძნობა;
ნათია ჯაგოდნიშვილი – გახდი ბესტსელერის ავტორი – ცდუნება;
ჯონ გოლზოუორთი – 50 წიგნი, ტ. 44, პირველი ნაწ. ფორსაიტების საგა;
ჯონ გოლზოუორთი – 50 წიგნი, ტ. 44, მე-2 ნაწ. ფორსაიტების საგა;
მიხეილ ბულგაკოვი – 50 წიგნი, 7 ტ. ოსტატი და მარგარიტა;
შარლოტა ბრონტე – 50 წიგნი, ტ. 32, ჯეინ-იარი;
ჯონათან სვიფტი – 49 წიგნი, ტ. 18. გულივერის მოგზაურობა;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური N1;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური N2;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური N3;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური N5;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური N1 (ინგლისურად და ქართულად);
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, 13 გოჭი, N7
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, დიდთოვლობა, N6;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, დათარსული ბედი, N8
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, დიდი მოგზაურობა, N9;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, ძველი დრო N10;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, ახალი ხათაბალა N11;
ჯეფ კინი – წრიპა ბიჭის დღიური, არდადეგები, N12;
ასტრიდ ლინდგრენი – შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ;
პენი ჯოლსონი – მე არაფერს ვმალავ;
ჯეიმს მეთიუ ბარი – პიტერპენი (ინგლ.);
მარკ ჰედონი – რა შეემთხვა ღამით ძაღლს და სხვა უცნაური ამბები.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილება

*ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილება*

ფოლკლორი

## სკვინჩა ჩიტისა და მელას ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სკვინჩა ჩიტი. იგი ცხოვრობდა ვარდის ბუჩქებში დაბურულ პატარა ბინაში. ყავდა სამი ბარტყი. ძალიან უყვარდა სკვინჩას ეს თავისი შვილები. ერთხელ სკვინჩამ გააგზავნა თავისი ბარტყი: – წადი, მელიკო ბიძიათან, უთხარი, რომ დედამ დაგპატიჟა-თქო. წავიდა ჩიტიც. მივიდა მელიასთან და უთხრა:

– მელიკო ბიძია, დედამ გამომგზავნა, ამაღამ მუხის ძირას გვექნება ჩემი უფროსი დის ქორწილი და მობრძანდითო.

მელამ ჩაიცინა და უთხრა:

– კარგი, ჩემო ჩიორავ, ძალიან მიყვარს დედაშენი, მისი ტკბილი ლაპარაკიო.

ასე ლაპარაკში გალიეს ტყე. მიადგნენ ვარდის ბუჩქებს. ჩიტის ნათესაობა უკვე იქ შეყრილიყო. პატარძალი ისე კარგად მოერთოთ, რომ ვიღა იცნობდა, ხოლო მეფეს კი ყვავილების გვრიგვინი ეკიდა. მელია ფიქრობდა, ეგებ რომელიმე ჩიტი ვიგდო პირშიო. ბუმ დალოცა მელია, ბულბულს სიმღერა გააწყვეტინა მელამ. ჩიტებმა ის გააგდეს. მელიას ბეღურებმა მწარე დღე დააყენეს. სკვინცა ჩიტი წამოდგა და მელას დასახმარებლად გამოემართა. წყნარად გადაუსვა ნატკენ თავზე ფრთა და დარიგებით მიმართა:

– ჩემო მელიავ, იცოდე, ქართველი ხალხი ამბობს: „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“!

მთქმელი ლილი დავლაშერიძე,
16 წლის. ასპინძის რაიონი, სოფელი ხერთვისი. ჩაიწერა მანანა ავალიშვილმა 1965 წელს. თსუ ფაა3722

ავთანდილ მესხი

## ჯოჰონა-ვიჰუსის პანდემიის გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დანესებული შეზღუდვები

მე–2 გვერდიდან

42. დასაშვებია თუ არა სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩატარება?

*დიახ, დაშვებულია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე.*

43. დაშვებულია თუ არა ქარხნებისა და საწარმოების საქმიანობა?

*დიახ, დაშვებულია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე.*

44. ჩერდება თუ არა სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა?

*დიახ, ჩერდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა 24 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით პერიოდისა.*

45. აკრძალულია თუ არა ე.წ. გარე ვაჭრობა? მაგალითად, მიწისქვეშა გადასასვლელებში სხვადასხვა ნივთების/პროდუქტების გაყიდვა?

*დიახ, აკრძალულია.*

46. აკრძალულია თუ არა საკანცელარიო ნივთებისა და წიგნების გაყიდვა?

*თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, ფოთში, გორსა და თელავში, ასევე, სამთო-სათხილამურო კურორტებზე, არასასურსათო პროდუქციის რეალიზაცია დაშვებულია მხოლოდ დისტანციურად.*

47. ტაქსით შესაძლებელია თუ არა ოჯახის წევრების გადაყვანა ქალაქიდან ქალაქში?

*ტაქსებითა და პირადი ავტომობილებით ოჯახის წევრების ქალაქიდან ქალაქში ან ქალაქიდან რაიონში გადაყვანა დაშვებულია.*

*მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა სახის გადაადგილება იკრძალება 21:00 საათიდან 05:00 საათამდე.*

48. ფუნქციონირებს თუ არა ავტოსკოლა?

*თეორიული მეცადინეობები დასაშვებია დისტანციურად, პრაქტიკული კომპონენტი ნებადართულია ფიზიკურად.*

49. ნებადართულია თუ არა სასტუმროებში არსებული რესტორნის, სპა/მასაჟის ცენტრების, ფიტნესისა და აუზის ფუნქციონირება?

*დასაშვებია მხოლოდ სასტუმროში მცხოვრები სტუმრებისთვის.*

*სამთო-სათხილამურო კორორტებზე - ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძსა და მესტიაში, სასტუმროები ფუნქციონირებს მხოლოდ საკარანტინე სივრცეების სახით.*

50. აკრძალულია თუ არა პროფილაქტიკის, სამრეცხაოსა და ვულკანიზაციის მუშაობა?

*პროფილაქტიკის, სამრეცხაოსა და ვულკანიზაციის მუშაობა დაშვებულია.*

51. დაშვებულია თუ არა ავტონაწილებისა და ზეთების საცალო რეალიზება?

*თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, ფოთში, გორსა და თელავში, ასევე, სამთო-სათხილამურო კურორტებზე, აღნიშნული პროდუქციის საცალო რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ დისტანციურად/ონლაინ. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია დასაშვებია სერვისცენტრებში ავტოტექმომსახურების მიღებისას.*

*ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე ავტონაწილებისა და ზეთების საცალო რეალიზება სრულად დაშვებულია.*

#გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

***stopcovid19***

## სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა

ასპინძის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა მუნიციპალიტეტში იმ საბავშვო ბაღებსა და სკოლებს, სადაც დროებით საარჩევნო უბნები იყო განთავსებული.

სადეზინფექციო სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით განხორციელდა, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ჩატარდა.

## სარეაბილიტაციო სამუშაოები მთავრდება

იწურება 2020 წელი, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამუშაოების ტემპი არ შენელებულა და პანდემიით გამოწვეული რიგი პრობლემების მიუხედავად, ვალდებულებებით გათვალისწინებული სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალიტეტში განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება. ასე მაგალითად, სოფელ რუსთავის საბავშო ბაღში აქტიურად დასასრულს უახლოვდება სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნუკია აწარმოებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა**

რედკოლეგია